

№ 42.

ფ481

1385

И. Исторический Архив  
Фонд № 481, № 1. Ед. кр. № 1385

~~ფ. 1. 6004~~

საქართველოს  
მიკროფოტოპია

ლ. მ. მ. მ.

საბუღალტრო განყოფილება 1914 წ.

9, 16, 23, 30, 31, 32.  
7, 14, 21, 21/1, 2.

1385 (6004). 42. საბუღალტრო განყოფილება  
საბუღალტრო განყოფილება 1914 წ. მთლიანად.  
1914 წ. საბუღალტრო განყოფილება 9-2257 მთლიანად 21. გ. 43.

431.

Центральный государственный исторический архив Грузинской ССР в г. Тбилиси

Лист использования документов

Фонд № 481 год \_\_\_\_\_ опись № 1 ед. хр. № 1385

Дата ис- пользова- ния	№№ использо- ванных листов	Для какой цели использован документ	Характер использования документа (снята копия, сделана выписка)	Подпись лица, сделав- шего запись
1	2	3	4	5
21.11.920		п. ф. 124 - м. 1817. 2-310 son		см. 743
22/II-1880		[Handwritten signature]		[Handwritten signature]
2/II 84	1, 2, 4	[Handwritten signature]		[Handwritten signature]

ქ. შ. წ. ვ. გამავერცელებელი საზოგადოების წევრთა წლიური კრებისა  
9 ნოემბერს 1914 წ.



კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ნ. ყაზბეგმა პირვე-  
ლის 20 წუთზე. დაესწრო 120 წევრი.

გასარჩევია 1913 წლის ანგარიში.


თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე აღდგომით შაფივი სცა სა-  
ზოგადოების წევრის განსვენებულის ა. ი. სარაკიშვილის ხსოვნას.

თავმჯდომარეს საჭიროდ მიაჩნია ანგარიშის განხილვამდე ორიოდე  
სიტყვა სთქვას ახლანდელ მდგომარეობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ  
დღევანდელმა საერთაშორისო ომმა ბევრის სიცოცხლე შეიწირა მსხვერპლად  
და საყოველთაო მწუხარება გააძევა ხალხთა შორის. მაგრამ სამაგიეროდ  
კაცობრიობას უღიმის უკეთესი მომავალი და დღევანდელ ომს თან უნდა  
მოჰყვეს ერთა უფლების აღდგენა. ეს იმედები ნათლად გამოიხატა მეფის  
ნებით თქმულ უმაღლეს მთავარ-სარდლის სიტყვებში. ჩვენს საზოგადოებას  
მიზნად აქვს დასახული ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელება.  
ჩვენი სკოლები უნდა იქნენ მანათობელნი და დამამკვიდრებელნი იმ იდე-  
ებისა. ამიტომ ჩვენ იმედით უნდა შევყურებდეთ ომის შედეგებს, მით  
უშეგეს, რომ ჩვენს ერს უკვე დიდი მსხვერპლი აქვს მისთვის შეწირული.  
მოგიწევთ მხურვალე ლოცვები წარუხმდევართო წინ იმ მეომართ, რომელნიც  
ებლა ბრძოლის ველზე არიან გახუთნი და სამართლიანობისა და უფლებისათ  
ვის იბრძვიან. სულით და გულით ვისურვოთ, რომ ანთებული მანათობელი  
უმაღლესი წინამძღოლისა მისულიყოს ბოლომდის კეთილდღეობისთვის ჩვე-  
ნი საერთო სამშობლოსა.

თავმჯდომარემ კრებას აუწყა, რომ ანგარიში დაგვიანდა უპირველე-  
სად იმის გამო, რომ განყოფილებებმა თვისი ანგარიშები დროზე არ წარ-  
მოადგინეს და ომიანობის მიზეზით.

ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა სარევიზიო კომისიის მოხსენება გამ-  
გეობის ანგარიშის შესახებ და შასუხი გამგეობისა ამ მოხსენების გამო  
რასაც მოჰყვა კამათი.

ღ. ხართიშვილის, ი. რამიშვილის და ბ-ნი მაღალაშვილის აზრით სა-  
რევიზიო კომისიის მოქმედება არ არის დამაკმაყოფილებელი, იგი ფაქ-  
ციურად უნდა ამოწმებდეს საზოგადოების ქონებას და არა ზეზეურად.  
სარევიზიო კომისიას არ უმუშავნია: აუღია დაბეჭდილი ანგარიში და იმიტ-



მიხედვით გვეუბნება, ეს ვაკრად არის, ეს ცუდათაო. მან ფულის მოე-  
ლი ანგარიში დაჭრილებით უნდა განიხილოს და შეამოწმოს, მართლა ინა-  
ხება ფულები ბანკში და ნამდვილი საბუთებია თუ არა ფულის ის საბუ-  
თები, რომელნიც ვასაში ინახება.

სარევიზიო კომისიის წევრებმა და ლუბგამემ და ა. ლუბაძემ უშასუ-  
ხეს, რომ მათ ფაქტიურად შეამოწმეს საბუთები ვასისა და საბუღალტე-  
რო წიგნებთან და ყველაფერი წეს-რიგზე აღმოჩნდა. ხოლო ბანკებში სია-  
რული, იმის შესამოწმებლად, მართლა ბანკის მოხელეებმა მოაწერეს ხელ-  
საბუთებს თუ არა, შეუძლებელიცაა და უაზროც. ამის ნებას არც წესლებ-  
გვაძლევს. კანა შეიძლება სკოლებში ფეხით ვიაროთ და ადგილობრივ შე-  
ვაშროთ.

დ. კარიჭაშვილი. /გამგეობის წევრი/ ჩვენ ვვაქვს ბანკის ბილეთე-  
ბი ვადით შენახული ფულისა და % იანი ქალაქების მოქმედები სახელმწ-  
ფო ბანკისა. თქვენის აზრით, სარევიზიო კომისიას უნდა ეარა ბანკებ-  
შეამოწმებინა ბილეთების სინამდვილე. აგრეთვე წასუღიყო სკოლებში და  
იქაც ფაქტიურად მოეხდინა რევიზია. ეს შეუძლებელიცაა და მოუხერხებ-  
ელიც. ბანკის გამგეობა არავის არ მისცემს შემოწმების ნებას, თუ გა-  
გეობა არ მისწერს.

თელ კიკვაძეს არ აუხაყოფილებს გამგეობის მოქმედება. მისი აზრ-  
განსაკუთრებით სკოლები არიან უნუგეო მდგომარეობაში. ცოცა ათავებ-  
კურსს და მოსწავლეთა რიცხვი ცოცაა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ  
საზოგადოებას არა ჰყავს გამოსვლილი, მოძვალეული და გლეხის ნამდვი-  
ლი მეგობარი მასწავლებელი, რადგანაც მასწავლებლის შრომა ჯეროვან-  
არა აქვს შეფასებული. საზოგადოების მასწავლებელნი ძლიერ მცირე სა-  
ყიდელს ღებულობენ თავისი მძიმე შრომის ფასში. მნ თუშანი ძლიერ მც-  
რე ჯამაგირია. თუ გვინდა ჩვენი სასკოლო საქმე წესიერ კალაპოტში რ-  
გეს საჭიროა შესაფერი მასწავლებელნი იქმნას მოწვეულნი ცენზიანი,  
მინარიულნი და არა სამოქალაქო მასწავლებელმ კურს დასრულებულნი და  
შესაფერი ჯამაგირიც დაენიშნოს. სკობია ცოცა იყოს სკოლა. მაგრამ ვ-  
გი. საზოგადოების ზოგიერთ სკოლებში სწავლა იწყობა ოქტომბრიდან და  
სექტემბრიდან; საღვთო სჯულს ზოგან ქართულად ასწავლიან, ზოგან ქარ-  
ულად და რუსულადაც მაგ. ბაქოს სკოლაში. სკოლების მეოვალყურე  
მოხსენებაში უსაყვედურებს ბათუმის სკოლის მასწავლებლებს ანგ-  
მეოთხე განყოფილებაში რაგომ ქართულად ასწავლიათ და დასძენს,  
ჩვენ ამის ნება არა გვაქვსო. ეს შენიშვნა სრულიად ეწინააღმდე-  
გამგეობის მიერ შექუშავებულ სანიმუშო შროგრამის მოთხოვნილება

სკოლები მხოლოდ ექვსკერ დაუთვალერებიან, მაშინ, როდესაც სკოლების საგანგებო მეთვალყურე ჰყავთ მოწვეული. ბოლოს მ-ნი ვიკვამე მითითებებს იმ კარემოებაზე, რომ გამგეობაში ყველა შანცივცემული პირია, მაგრამ წ. ვ. საზოგადოების საქმეებისთვის საკმარისი დრო ყველას არა აქვს, რადგან საკუთარი საქმეებით არიან დატვირთულნი. ამიტომ ვისაც დრო არა აქვს, იმან არ უნდა იკისროს ისეთი მძიმე და თან სასაჭირო მრვალება, როგორც წ. ვ. საზოგადოების გამგეობის წევრის მოვალეობაა.

ქრისტეშელ ასათიანისა თავის განცვიფრებას აცხადებს: "ქართულ სკოლაში და ისიც ქ. შ. წ. ვ. საზოგადოების სკოლაში, განა შეიძლება საღვთო სკულის რუსულ ენაზე სწავლება?!"

გრ. ბურჭულაძე უპასუხებს თელო ვიკვამეს და აღნიშნავს, რომ ანგარიში შეეხება გამგეობის 1913 წლის მოქმედებას; სკოლების მეთვალყურე ვი მოწვეულია ამ 1914 წლის I იანვრიდან. მოწვევის დღიდან მას დაუთვალერებია ყველა სკოლა, ზოგი ორკერადაც და სამკერადაც. დარჩა დაუთვალერებელი სენაკის და ქუთაისის სათავად-აზნაურო დაწყებითი სკოლები. წელს ესენიც იქნებიან დაუთვალერებულნი. ამიტომ მ-ნი ვიკვამის საყვედური, ექვსკერ შენად არ დაუთვალერებიათ, ზედმეცია და უსაფუძლო. სწავლის გვიან დაწყების შიშში ის არის, რომ ოქტომბრამდე გუგუხს ათასი სამუშაო აქვს სახლში და შვილს სასწავლებელში არ გზავნის.

დ. ბოცვაძე /გამგეობის წევრი/ აღნიშნავს, რომ გამგეობაც მომხრეა საუკეთესო მასწავლებლების მოწვევისა, მაგრამ საქმის განხორციელება მწელია: ჩვენს გვინდა ცენზიანი სემინარიული გვყავდეს, მაგრამ ვერ ვშოულობთ. ამიტომ იძულებული ვხდებით მოვიჭვიროთ ისეთებიც, რომელთაც სპეციალური პელაგოგიური განათლება არ მიუღიათ, მაგრამ თავისით მომზადებულან და საქმისადმი სიყვარულით აღჭურვილნი სასკოლო საქმეში დიდი უნარი გამოუჩენიათ. ასე მოხდა მაგალითად ყალამშიაძე., სადაც არა სემინარიულმა იმდენი გამჭრიახობა და მხნეობა გამოიჩინა, რომ ხალხს სკოლა შეაყვარა, სკოლის მენობის აგებაში დიდი მონაწილეობა მიაღებინა და სწავლების საქმეს წესიერად დააყენა. რაც შეეხება სასწავლო გეგმას, ჩვენ ვხელმძღვანელობდით ჩვენის წესდებით და 1881 წლის გეგმით, რომლითაც საღვთო სკულის სწავლება ქართულად სწარმოებს ჩვენს სკოლებში, რამდენადაც შეიძლება ჩვენ ვიცავთ მშობლიურ ენას. იქ, სადაც მასწავლებლები უხვევენ ჩვენს გეგმას, გამგეობა წინადადებას აძლევს განყოფილებათა გამგეობას მგვიცედ დაიცვან ხანძიმუშო პროგრამა და ყველა საგანი სამშობლო ენაზე ასწავლონ


მ. თ. ბაქრაძის შრომის მიხედვით, რომ ვაჭარებს წინააღმდეგობა უწევს, არაა პოპულარული.  
სადაც ვაჭარების ყალიბი, რომელიც ვაჭარების უფროსი, რომელიც ვაჭარების უფროსი.

თ. კიკვაძე. თუმცა მე ცენზის მომხრე არა ვარ საზოგადოთ, მაგრამ სემინარიაში, როგორც სპეციალურ სასწავლებელში, კურს დამთავრებული, რომ უფრო ნაყოფიერად იმუშავეს ეჭვი არ უნდა, ამიტომ უპირატესობა მათ უნდა მიენიჭოთ და შესაფერი ზედმეტი უნდა დაენიჭონოთ. ✕

ლ. ბოცვაძე. ჩვენი წ. ვ. შიშინია მღაბით ხალხში წერა-კითხვის გავრცელება, არის ადგილები, შივარდნის კუთხეები, სადაც უბრალო წერილის წამკითხველს ხანთლით ეძებენ. აი ასეთ ადგილებში, რომ წერა-კითხვის ცოდნა გავავრცელოთ. ეს მე მგონია, უფრო სასარგებლო იქნება, ვიდრე მთელი ჩვენი ნივთიერი საშუალება მხოლოდ ორი-სამი სკოლის შენახვას მოვახმაროთ.

შ. ქარუმიძე. ამბობს, რომ ამდენი ხანია არსებობს წ. ვ. საზოგადოება და ჩვენს გაშვებობას ჯერ არ აქვს თვის მოქმედების გეგმა ვარკვეული. არა აქვს გამორკვეული, როგორი უნდა იყოს ჩვენი სკოლა და ღირს თუ არა გახსნა კიდევ ახალი სკოლებისა იმ სახით, როგორც ღღეს არის. მისი აზრით სკოლები უნდა იყოს მდგომარეობაშია, მასწავლებლების მდგომარეობაც არ არის სახარბიელო. ამიტომ ჯერ უნდა არსებული სკოლების მდგომარეობა გაუმჯობესდეს და შემდეგ სხვა გაიხსნას. ბიბლიოთეკების მდგომარეობაც არ არის სახარბიელო. ჩვენ უნდა ვიცოდეთ რაში გამოიხატება ამა თუ იმ ბიბლიოთეკის სიკარგე, რა ღარვის წიგნებს უფრო თხოვლობს ხალხი, რომელ მწერალს უფრო ეწახება და სხვა. საზოგადო კრება უნდა გადასწყვიტოს მივცეთ თუ არა მომავალ გაშვებობას ახალი სკოლები და ბიბლიოთეკების გახსნის ნება, ვიდრე არსებული სკოლების მასწავლებელთა ნივთიერი და სულიერი მდგომარეობა არ იქნება გაუმჯობესებული.

✕



ვ. მალაქაშვილი. როგორც ვაკვირდები, სარევიზიო კომისიას არ უმუშავნია. გამგეობას შეუღვენია ანგარიში, სარევიზიო კომისიას აულია დაბეჭდილი წლიური ანგარიში და ამ ანგარიშის მიხედვით შეუღვენია თავისი მოხსენება. კომისია ამბობს, ბაქანსი სწორია, მაგრამ სრულიად არა ხრანს შემოწმებული იგი საბუკავალსერო წიგნებთან ფაქტურად თუ არა!

ა. ლულაძე. ამისთანა ლაჰარაკი განა შეიძლება, შეიძლება განა, რომ ჩვენ ზერეულად მოგვეხდინა რევიზია, მოხსენებაში ნათქვამია ანგარიშ/ საბუღებთან არის შემოწმებული, მე მგონია ეს საკმარისი უნ და იყოს....

ბ. ლუმბაძე. ჩვენდა საბედნიეროდ, სხვა დაწესებულებებთან შეღარებით წ. ვ. გ. საზოგადოების საქმე გაცილებით უფრო ვარგად არის დაყენებული. ყველაფერი წესიერადაა. მალაშია, საწყობი, საქმის წარმოება. მხოლოდ ერთი რამ არის აღსანიშნავი, რომ ქონება დაზღვეული არ აღმოჩნდა.

გ. საყვარელიძე. ნება მიბოძეთ წესრიგისათვის ორიოდ სიტყვა მოვახსენოთ. ჩემის აზრით უმკობესი იქნება ნება მიეცეს ორატორებს შეეხონ საზოგადოთ ანგარიშში აღნიშნულ მუხლებს და გამგეობის მოქმედებას, რომელ დარგსაც მათი მოქმედება არ ეხებოდეს.

თავმჯდომარე ნებას აძლევს.

ა. ლულაძე. ვამათი უწესოდ სწარმოებს. ჯერ უნდა ჩავვეკითხნა გამგეობის ანგარ ში და შემდეგ კი სარევიზიო კომისიის მოხსენება.

თავმჯდომარე- მარშან თქვენ პრეზენზია განაცხადეთ, რატომ პირველად სარევიზიო კომისიის მოხსენება არ წაკითხეთ და წელს სწორედ თქვენი სურთილის თანახმად, პირველად მოხსენება იქნა წაკითხული.

ა. ლულაძე. მარშან მე მოვიტხოვე სარევიზიო კომისიის მოხსენების მუხლობრივ განხილვა. და არა სარევიზიო კომისიის მოხსენების პირველად წაკითხვა. ვთხოვთ ჯერ ანგარიშ იქნას წაკითხული და შემდეგ ჩვენი მოხსენება.

გ. ჭაფარიძე. თხოულობს ანგარიშისა და სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ გაიხსნას საზოგადო ბაასი.

თავმჯდომარე კითხვას გამორკვეულად აღიარებს და სთხოვს ვრებას იქონიოს მსჯელობა ანგარიშის შესახებ საზოგადოდ.

გ. საყვარელიძე. ქ. შ. წ. ვ. გ. საზოგადოება ეს ერთად ერთი კულტურული დაწესებულებაა ჩვენში და როგორც ასეთი, იგი განსაკუთ-




რეზული ყურადღების ღირსია. მისი მოქმედება ყოველ მხრივ აწონილ-  
 დაწონილი უნდა იქნას ყოველი შეგნებული და გულმემატვივარი ქართვე-  
 ლის მიერ. სწორედ ეს მოსაზრება მივარნახებს ალენიშნო ზოგიერთი  
 თვალსაჩინო ნაკლი გამგეობის მოქმედებაში. სარევიზიო კომისიის მოხ-  
 სენება ვვეუბნება და ანგარიშიც ამას აღასტურებს, რომ გამგეობის  
 წევრნი კრებას არ ესწრებიან. რად იკისრეს ასეთი მოვალეობა, თუ  
 დრო ნებას არ აძლევთ და არ შეუძლიანთ აქციური მონაწილეობის მიღე-  
 ბით საქმე გამოაყოსხლონ, ღიად საქმეს ჭეროვანი ხელმძღვანელობა და  
 მეთაურობა გაუწიონ, მაგრამ ეს ხომ ჩვენი საზოგადო სენია. გამგეო-  
 ბა უნდა იჩენდეს ინიციატივას, აღგენდეს სამოქმედო გეგმებს და  
 ამ გეგმებს უღვენდეს განსახილველად საზოგადო კრებას. ეს არ ხრანს  
 საჭიროა ხოლმე დავეალოს ყველა ახლად არჩეულ წევრთ, ან თავიდანვე  
 უარი განაცხადონ ან თუ იკისრებენ გამგეობის წევრობას, პირნათლად  
 და სინიღისიერად იმუშაონ.

სკოლების რევიზიის საქმე მღიერ ცუდად ყოფილა დაყენებული. ნუ  
 თუ გამგეობას არ შეეძლო, თუ მის წევრთ დრო-მოცალეობა არ ჰქონდათ,  
 გარეშე მცოდნე პირისთვის დავეალებინა სკოლების დათვალიერება, მი-  
 სი ავ-კარგის გაგება? განა შეიძლება In სკოლიდან მხოლოდ 4 დათვა-  
 ლიერება და დანარჩენების უყურადღებოდ დატოვება?

გამგეობას რომ მოქმედების უნარი გამოეჩინა, შეეძლო სავსებით  
 გამოეყენებინა წესდება წესდება და მის ფარგლებში ემოქმედნა.

რა მიზანი აქვს დასახული საზოგადოებას და როგორ ემსახურება  
 გამგეობა? საზოგადოებას აქვს უფლება გაზარდოს კურსები, მოიწვი-  
 ოს მასწავლებელთა სიეზლები, გაზარდოს სახალხო კითხვები, ლექციე-  
 ბი და სხვა. როგორც ხრანს, არც ერთი ეს გამგეობას არ განუბორციე-  
 ლებია. გამგეობას შეუღვენია სკოლებისთვის სანიმუშო პროგრამები  
 ეს პროგრამები შედარებით, ხალი შეღადარგიური მოთხოვნნილებების მი-  
 ხედვით არის შეღვენილი. ამ პროგრამებით ყველა სავანი სამშობლო-  
 ენაზე უნდა ისწავლებოდეს. - საზოგადოების ზოგიერთ სკოლაში კი,  
 როგორც ბ. ბურჭულაძის, მოხსენებიდანა ხრანს, სამღვთო სკულს და  
 არითმეტიკას რუსულად ასწავლიან. ეს, მე მგონია, შეუძლებელია.  
 ქართულ სკოლაში სწავლება ქართულად უნდა სწარმოებდეს. დედა ენა  
 უნდა იყოს ყველა სავნების სწავლის იარაღად. ზოგიერთ სკოლებში  
 სამღვთო სკული ქართულადაც უსწავლებიან და რუსულადაც. ერთი მი-  
 ხარით, ეს რომელ ხალ შეღადარგიურ მოთხოვნნილებას უკახსებებს? გან-  
 სავმარისი არ არის ამ სავნის მარტო ქართულ ენაზედ სწავლება,  
 ცა თვით მთავრობის გეგმაც არ არის ამის წინაამდღევი?! დრო არ



ბოლო მოელოს ასეთს გულგრილად საქმისადმი მოპყრობას; საჭიროა და-  
 ევალოს ახალ გამგეობას, სისრულეში მოიყვანოს წესდების ის მუხლი,  
 რომელიც ნებას ვვაძლევს ვამართოთ მასწავლებელთათვის კრებები,  
 სისტემატიური კურსები, ექსკურსიები და სხვა. საჭიროა საქმის მოყ-  
 ვარუნდი და ენერგიით სავსე ხალხი შევიდეს ამ დიად ეროვნულ-კულ-  
 ტურულ დაწესებულებაში და შეიჭანოს შიგ ინიციატივა, სიცისხლე და  
 მოქმედების უნარი.

გ. რცხილაძე. ევვი არ უნდა, რომ გამგეობას აქვს ნაკლი, განა  
 უნაკულუ<sup>ჩუჭუ</sup>რ<sup>ჩუჭუ</sup> შეიძლება! მაგრამ ასეთი ბრალდებების და საყველუ-  
 რების წამოყენება, რომელიც წინანდელმა ორაფორმა აღნიშნა, გამგე-  
 ობის მოქმედებაში, სიმართლეს მოკლებულია. ბ-ნა საყვარელიძემ  
 ბრძანა, რომ სანიმუშო პროგრამები სალი შელაგოვიური პრინციპების  
 მიხედვით არის შედგენილი... პროგრამა გამგეობამ შეადგინა, აღ-  
 ბად იმ მიზნით, რომ იგი ვაეწარებინა სკოლებში და სწავლავს ქართულ  
 ენაზე მოეწყოს და კიდევაც მსკიცხელ იდგა და აღგია ამ გზას, მაგრამ  
 შოგიერთ სკოლებში მოხელეები წინააღმდეგობას გვიჩვენებენ. ხშირად ეს  
 წინააღმდეგობა იქამდის მიდის, რომ საზოგადოების დახურვასაც კი  
 გვიქაღის. მავალითად თერგის ოლქის სახალხო სკოლების ღირექტორმა  
 ამ ნიადაგზე საჩივარი შეიჭანა და განყოფილების დახურვას თხოულობ-  
 და. გამგეობა იძულებული იყო ცოცა დათმობის გზაზე დამღვარიყო ისევ  
 საზოგადო საქმის გულისათვის. ახლა უკვე არსებობს ახალი კანონი  
 კერძო სკოლათა შესახებ და ამიერიდან ჩვენ შეგვიძლიან თავისუფლად  
 ვაწარმოვოდ ყველა საგნების სწავლება დედა ენაზე, თუმცა იგივე  
 მოხელეები ჩვენს სკოლებს კერძო ტიპის სკოლებად არ აღიარებენ,  
 თქვენი სკოლები სამინისტრო სკოლებათ ირიცხებათ.

გამგეობა კურსების გამართვასაც კი სცლილობდა მასწავლებელთათ-  
 ვის, მაგრამ ამას უნდოდა საღსარი და შემცდარი აზრია, როცა ორაფო-  
 რი ფიქრობს, რომ უსადსროლაც შეიძლება კურსების, ლექციების, სა-  
 ხალხო ვითხვების და სხვა... გამართვა. მასწავლებელთა კრებები კი,  
 ღროვამოშვებით იმართება, რასაც სასკოლო სექციის მხრივ ჯეროვანი  
 ყურადღება აქვს მიქცეული. სასკოლო სექციას დავალებული აქვს გამ-  
 გეობის შემდეგ შეიმუშავოს ვრცელი გეგმა, თუ როგორ და რა სახით მოეწყ-  
 ყოს საზოგადოების სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების საქმე.  
 სახალხო ვითხვების მოწყობასაც აქვს ჯეროვანი ყურადღება მიქცე-  
 ული. გამგეობასთან არსებული სახალხო ვითხვებისა და ბიბლიოთეკე-  
 ბის მომწყობი სექცია უკვე შეუდგა ამ საქმის მოწყესრიგების თაჯდა-

რივს. და, თუ ენერჯიას ვაძიორენენ მოხსენებულ სექციის წევრი, ე  
 ეჭვი არ უნდა, საქმე ჯეროვან მსვლელობას მიიღებს და საბაღო ვით-  
 ხვევის მოწყობის საქმეც კარგად წავა. შენიშვნა სკოლების რევიზიის  
 შესახებ საუბრეველს მოკლებულია: მდგომარე წლის იანვრიდან ვაძგეო-  
 ბამ მოიჭვია განსაკუთრებული პირი, რომელიც მოვაქვია სკოლების რე-  
 ვიზიის საქმეს სისწყმატური ხასიათი მისცეს და სწავლის უხველო-  
 მის ავ-კარვის შესახებ მოახსენოს ხოლმე ვაძგეობას სასკოლო სექცი-  
 ის საქმეებში. ვაძგეობას საზოგადოების მიზანი ვარგად აქვს ვაძ-  
 ვალისწინებული: მს წლის ურსებობის განმავლობაში ყოველთვის აღგენ-  
 და საბოქმელო გეგმას და ამ გეგმის მიხედვით აწარმოებდა საზოგადო  
 საქმეს იმდენად, რასაკვირველია, რამდენადაც მას ნივთიერი საშვა-  
 ლება ხელს უწყობდა. სკოლებს ხსნიდა იქ, სადაც ქართულ ენას მეტი  
 ღვენა და განსაცდელი მოეუღა: ღნ მოელის ვიღვე, მაგ. ზუგდიდის მაშ  
 რაში, თერგის ოლქში და სხვა. ვიმეორებ, რომ ვაძგეობა შეძლებისა  
 და ვაძვარად მუშაობდა და აწარებდა ცხოვრებაში წინააღმდეგე შემუშავე-  
 ბულ მოქმედების გეგმას, იმდენად, რამდენადაც მას ხელს უწყობდა  
 ნივთიერი ღონისძიება.

შ. მიქელაძე. - წინანდელმა ორატორებმა თავიანთ სიტყვებში აღ-  
 ნიშნეს, რომ ვაძგეობას არ მიუღია ზომები მასწავლებელთა კურსების  
 ვასამართავად. ეს უაღვილო შენიშვნაა. ვაძგეობამ ამ ორის წლის წი-  
 ნად შემდგომლობა აღმრა სათანადო მთავრობის წინაშე მასწავლებელთა  
 ვის სისწყმატური კურსების ვამართვის შესახებ ქართულს ენაზედ, მ  
 კრამ ნებართვა ვერ მიიღო, ასეთი კურსების ვამართვის ნება არ მოგ  
 ვცეს, რუსულად ვი კურსების ვამართვა, როგორც მიზნის წინააღმდეგი  
 ვაძგეობამ სასურველად არ ღაინახა. საზოგადოებას აქვს თავიანთი  
 სკოლებისათვის სანიმუშო პროგრამა, რომლის მიხედვით ყველა სკოლის  
 მასწავლებელი ვალდებულია აწარმოვოს სწავლა. და თუ ზრვიერთ სკოლა  
 ში მასწავლებლებმა ამ პროგრამას ვაღაუხვიეს, ვაძგეობამ ამის წი-  
 ნააღმდეგე შესაფერი ზომებიც მიიღო.

ირაკლი რამიშვილი. - საზოგადოების საქმე რომ უფრო კარგად წა-  
 ვიღვს, მეტი სიცოცხლე ღაეცყოს მის მოქმედებას, ამისთვის საჭირო  
 ვაძგეობას ყავღეს <sup>მხელა</sup> დაქირავებული, იმ ორი პირის ვარღუ რომლებიც  
 ღა მსახურობენ, უმადღესი ვანათლებით აღჭურვილი, პირი, რომელიც  
 ვაცნობილი უნდა იყოს ღასავღელთ ევროპის კულტურულ ღაწესებულეებათა  
 ისტორიას. ეს პირი უნდა ავებღეს ვასუხს, როგორც ვაძგეობის, ის  
 საზოგადოების წინაშე. ეს პირი საზოგადო საქმეში შეიღანს სიცოც-

ხლეს, ინიციატივას და ევკვი არ არის, დღეს თუ საზოგადოების საქმე  
კუხ ნაბიჯით მიდის და გამგეობის წევრნი თავიანთი მოვალეობას ზერე  
ლუ ასრულებენ, მაშინ ამ ნაკლს აღვიღო აღარ ექნება და საქმე უფრო  
ნაყოფიერად წავა.

დავ. ხართიშვილი. აღვიღია სხვის ნაკლზე ლაშარავი. სარევიზიო  
კომისია გამგეობის ნაკლზე მიგვითითებს და თავის ნაკლს კი არ ამ-  
ჩნევს. სარევიზიო კომისია ვალდებულია გამგეობას კვალდაკვალ მიჰ-  
ყვეს და რევიზია უკეთოს; მას კი მხოლოდ წლიური ანგარიში შეუმოწ-  
მებია და ფაქტური "რევიზია" კი არ მოუხდენია. ეს, ჩემის აზრით თა-  
ვის ვალდებულობის შეუსრულებლობაა. სარევიზიო კომისია გამგეობას  
უსაყვედურებს საგურამოს მამულის ახორცებას და თავის თავსა კი არა  
სთვლის ამასი დამნაშავეთ. სარევიზიო კომისიას რომ თავისი ვალდებუ-  
ლება შეუსრულებინა, თავის ღრობზე მისულიყო საგურამოში მამულის დასა  
თვალიერებლად, მას ჯერ კიდევ ძველი მოიჯარაღრეების ღრობს ეცოდი-  
ნებოდა, რომ მამული გამგეობის უყურადღებობით ახორცება... არც ჩვენ,  
საზოგადოების წევრნი, ვართ ამ საქმის დავნიებაში უდანაშაულო.,  
თვით დღევანდელი კრების მრავალრიცხოვანობაც ამას მოწმობს. კრებას  
მხოლოდ პრეზენტების ღრობს ესწრებიან წევრები და სხვა კრებებზე კი  
მთლიერ მცირე ყოფილა ხოლმე. საზოგადოდ საქმის გამომბრუნება-წარმა-  
ცება მოითხოვს გამგეობისა, სარევიზიო კომისიისა და თვით საზოგადო-  
ლოების წევრთაგან მეტს ყურადღებას და თვით საქმის შესაფერისად  
შესწავლა-შეთვისებას. საჭიროა ყველამ მივიღოთ საქმის წარმავებაში  
მონაწილეობა იმდენად, რამდენადაც, ვის შესწევს ძალ-ღონე. გ-ნი  
რცხილაძე ამბობს: " უნაკლებო არავინ არის და არც ჩვენ ვართ უნაკ-  
ლებლო" გ. ბ. ესე რომ იყოს საქმე, მაშინ ხომ არა გვეთქმობა რა,  
მაგრამ სამსწუბაროც ის არის, რომ ამ საქმეში მეტის მეტად კოჭლობთ,  
ამის მიზეზი სხვათა შორის ისიც არის, რომ ბევრი თქვენგანი მრავალ  
აღაგს არის ამორჩეული და ასე ძალ-ღონე ქუცმაცდება და ველარსად  
რას აკეთებთ. გარდა ამისა მე მინდოდა მეკითხნა გამგეობისათვის  
აქვს თუ არა ცნობაში მოყვანილი, თუ რამდენმა მოწავემ დაასრულა  
სწავლა ჩვენს სკოლაში, რა გზას დაადგინენ ისინი, ან თუ იძულებიან  
ჩვენი საზოგადოების წევრებად. .. ახლა სტიპენდიების შესახებ: სტი  
პენდიებს გამგეობა აძლევს იმის მიხედვით, თუ რა სპეციალურ ცოდნას  
ღებულობს მოხოვნელი და ის კი არა გამოჩვენდება, თუ რა სპეციალური  
ცოდნისანი უფრო გვესაჭიროებიან. თქვენ უპასუხებთ კომისიას: ჩვენ  
ყველანაირი მცოდნენი გვინდაო. ეს მართალია, მაგრამ ისიც მართალია

გამგეობამ<sup>აქ</sup> ამ საჭიროებათა შორის შირველ ხარისხოვანი საჭირო-  
ებანუნდა გამოარკვიოს *შეიქმედოს მისი საჭიროების ყოველგვარი საჭიროება*  
*საჭიროების შესახებ უნდა ვსთქვა, რომ მეფის მფელად უყურადღებოდ*

არის მიფოვებული, მის შესახებ არ არსებობს მუშაობა ორგანიზაციუ-  
ლად მიწყობილი. საჭიროა ღღევანღელი ჩვენი მღვომარეობა შევისწავ-  
ლოთ და მველი ჩვენი ღღების ნაშთები მოვნახოთ და შევისწახოთ.

რაც შეეხება რუსულადა და ქართულად ზოგიერთა ჩვენს სკოღებში  
სამღოთ სჭუღის სწავღებას, ეს იმით არის გამოწვეული, რომ შემღეღი  
სწავღის მისაღებაღ შევიღღები იღუღებულღი არიან ისეთს სკოღაში შე-  
ვიღღენ, საღაც საგნების ცოღნას რუსულად მოიღხოვენ.

საჭიროა აგრეთვე გაიხსნას წ. ვ. განყოფიღებები იქ, საღაც ჩვე-  
ნი სკოღები არსებობს მაღ. გერგეთში თამამად შეიღღება წ. ვ. გ. სა-  
მოგაღღების განყოფიღების გახსნა.

დ. ღღმაღე. საყვეღური საგურამოს მამღუღის შესახებ სრულიად უღ  
ვიღღა. მამღუღის დათვაღღირება მინღობიღი შეიღღა განსავუთრებულ კო-  
მისიას და რომ მან თავისი ვაღღებულღება არ შეასრულა, ეს აღნიშნუ-  
ღი ჩვენს მოხსენებაში, ჩვენს მოვალეობას კი სრულიად არ შეაღღენ-  
და მამღუღი წასვღა და აღღიღობრივ რევიღიღის მოხღენა.

შეწრე გელიშვიღი. უმოავრესი ყურაღღება უნღა მიექცეს იმ ვარე-  
მოებას, რომ ჩვენს ერთად ერთ კულღურულ დაწესებულღებაში გამეფებულღა  
ბიუროკრატღიში, ხაღხსა და საზოგაღღების გამგეობის შორის სამართ-  
ღი ჩინეთის კელღი: ხაღხს არ უშვემთ სამღუღაოთ, არ გვიღღა მან  
თავისი საქმეები თვიღონ მართოს, რამღენი ხანია ვღაშარავოთ საწვე  
რო ვაღასახაღღების შემციღების შესახებ და ეს სავითღი ვაღაუწყვეღე-  
ღი რჩება. საჭიროა შემციღღღეს საწვერო ვაღასახაღღი, რათა მღაბი  
ხაღხს შემღება მიეცეს შეიღღანოს ეროვნულ-კულღურულ საქმეში თავისი  
წვიღღი და ღამერწმუნეთ, რომ ამის შემღეღე საქმე გამოცოცხღღება, სა-  
ქმიანობის უნარით აღღკურვება.

პროკოპი ჭაფარიღე. გღღ-ნო! გონიერი ანღაღა ამბობს: "როგორღ  
მღვღელი, ისეთი მრეღვიღო" აქ კი მღვღელი სხვაა და მრეღვიღი სხვაა.  
გამგეობამ უნღა ნასრუღოს ის, რასაც დააკისრებს საზოგაღღება. და  
საზოგაღღების თიღანი წერა-კითვის ვავრცელღებისა ხაღხში, მამინ  
მიღღებს ჭეროვან სახეს, როცა თვიღთ ხაღხი იქნება დაინწერესებული,  
როცა თვიღთ ხაღხი თავიანთი წარმოხაღღენღების სახით შევა გამგეობის  
შემაღღენღობაში. გამგეობის წვერღი თავს იმართლებენ საღსარი არა


გვაქვსო, მაგრამ მარტო საღსარი რას ვკვიველის, თუ ხალხი დაინტერესებული არ არის იმ საქმით, რომელიც თვით ხალხს ეხება.

გიორგი ლომთაიძე. ყოველთვის უსაღსრობის ბრალი არ არის საზოგადოების საქმეების ცუდად წაყვანა. ღამნაშავეს მე არ ვემბე. საქმეს დაუახლოვდეთ, ყველაფერს გამგეობას. ვერ ვუსაყვედურებთ, მაგრამ არ შეძიბლიან არ მიუთითო ზოგიერთ ნაკვლე, რომელიც უნდა აღინიშნოს გამგეობის მოქმედობაში: მაგალ. განსვენებულმა ხრამულაშვილმა უნაღღრმა თავისი სახელმძღვანელო წიგნები წ. ვ. საზოგადოებას. ერთმა ქართველმა ვაჭარმა ეს წიგნები მიითვისა, ქურდულად დაბეჭდა იგი ციხის სფამბაში, გამოცემის თარიღის აღუნიშვნელად. ხმები: ვინ არის ეს ვაჭარი? მერკვილაძე ხომ არ არის? ლომთაიძე - ღიახ, მერკვილაძე გახლავთ. ჩვენ ამ წიგნებს მისგან ვყიდულობდით და ისე ვყიდდით. გამგეობას შეეშლო "არესტი" დაულო გამოცემულ წიგნებზე და არ მიეცა ნება მერკვილაძისათვის ჩვენი ქონებით ესარგებლა.

აქ არ იყო საჭირო არავითარი საღსარი, მხოლოდ საჭირო იყო მოქმედება და მოქმედების უნარის გამოჩენა. ამის გარდა სარევიზიო კომისიის მოხსენებაზე გამგეობის შახსებში ნათქვამია, რომ მარტო "P. C" იმეორე ნაწილად გამოცემამ დაიგვიანაო. ეს მართალი არ არის. "P. C. და C. A." ს გარდა ბუნების ვარის გამოცემამაც დაიგვიანა.

შემთხვევით ვახდით ვაფთხისხევის ბიბლიოთეკაში, შევედი და წიგნების და ვაწეფების მაგივრად უღლის ბოთლები ეწყო მაგიდაზე. მერსმუნეთ ბ-ნო: თუ თქვენ ვნებავთ საქმეს მოქმედების უნარი დაუწყოს <sup>ქ. ვ. ვ. საზოგადოება</sup> ~~შეუქმონ ხალხი, მივიციტ. საშუალება შემოიყვანოს მან თავისი წვლილი ამ~~ ~~ეროლ-ერთს კულტურულ დაქსებულებაში.~~

ალექსანდრე ლომთაიძე. ჩემთვის რომ ეკითხათ, რომელია ქართველი მწერის კულტურის გამოცხადველი დაწესებულებაო, მე მიუთითებდი ქართულ თეატრზე და წ. ვ. ვ. საზოგადოებაზე. ქართული თეატრი დაგვეწვა დაგვეწრა ერთად-ერთი ეროვნულ-კულტურული სახის გამოცხადველი წ. ვ. ვ. საზოგადოება, რომელსაც უნდა მიქცეს უმთავრესი ჩვენი ყურადღება. ყოველი ნაკლი წ. ვ. საზოგადოებისა აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ შემდეგში იგი არ განხორღეს. ჩვენ არ უნდა ვფარავდეთ ჩვენს წყულლებს, რადგანაც უფრო ვაადეება. ზოგიერთების სურვილი იყო ამ ნაკლთა მხილება, მაგრამ ამასთან იყო მიფურჩეების სურვილიც. არ არის აგრეთვე ვადაჭროთ აღიარებული, თუ რა საშუალებას მივმართოთ საქმის საქმის გამოსაკეთებლად და ვასაუშგობებსებლად. სკოლები უნუგეშო მღგომარეობას. განიცლიან, არ იმართება სახალხო კითხვები და ლექცია



ბი ხალხისათვის . წიგნის მალაზიის საქმე რიგიანად ვერ მიდის. . .  
თუ გვირდა ღირსეულად იარსებოს ჩვენმა საზოგადოებამ და თავისი და-  
ნიშნულება შეასრულოს, უნდა მიექცეს ჭეროვანი ყურადღება სახალხო  
წიგნების გამოცემას მოწყობის საქმეს. სკოლები უნდა ვეკონდეს ცოცხა  
და ვარვად მოწყობილი.

სტიჰენდიაფების უმრავლესობა იმელს არ აზარტლებს, ამიტომ უმჭო-  
ბები იქნება და სასარგებლოც, რომ ის ფული, რომელიც სტიჰენდიებზე  
იხარჯება, სკოლების გაუმჯობესების საქმეს მოხმარდეს. ჩვენ აქ დაგ  
ვისახელეს ერთი მიზეზი, რომლის გამო გახგეობას მასწავლებელთა კურ  
სების მოწყობაზე უარი განუცხადებია: ქართულად კურსების გამართვის  
ნება არ მოგვცეს, რუსულად კი კურსების გამართვა სასურველად არ  
ვსცანითო" ჩემის აზრით გამგეობას მხედველობაში უნდა მიეღო დღე-  
ვანდელი შირობები და მოხსენებული კურსები მოეწყო რუსულ ენაზე მა-  
ინც, რაც ეჭვი არ უნდა ცოცაოლენს სარგებლობას მაინც მოუწყანდა  
ჩვენს მასწავლებლებს, სწავლის უწყობილოდ რუსულ ენაზე ხარჯთ.


თუ ეს დაწესებულება გვიყვარს აუცილებლად უნდა მივადებინოთ  
ხალხს აქტიური მობაწილეობა ყველა ჩვენს საქმეებში, ვარი გაულოთ,  
შეშოვიყვანოთ, ჩვენი მომავალი იმელი ახალგაზრდა საქართველოსი-  
ხალხი. ვიღრე ეს არ მოხდება, საზოგადოება ვერ დაახჩქევს თავს ამ  
მოჭადლოვებულ წრეს.

ს. კვილია. ორაფორები იმეორებენ იმას, რაც ნათქვამი იყო, უმ-  
ჭობესია მოისპოს ვამათი საზოგადოდ გამგეობის მოქმედების შესახებ  
და განხილულ იქნას ანგარიში მუხლობრივ.

თავმჭლობარე. ეს სავითხი უკვე გამორკვეულია და ვრებას უფლება  
აქვს იმსჯელოს საერთოდ გამგეობის მოქმედების შესახებ.

გ. ცინცამე. საჭიროდ არ მიმაჩნია გავიმეორო ის, რაც წინან-  
დელმა ორაფორებმა სთქვეს, აღენიშნავ მხოლოდ ზოგიერთ ფაქტიურ მ-  
რეს გამგეობის დაუდერობისას, გადაშადეთი ანგარიშის მე 70 გვერდ  
და თქვენ ნახავთ, გერგეთის სკოლა, რომელიც დაარსებულა 1910 წელ  
შეუფერებელ და ჭერ ვიღვ დაუმთავრებელ შენობაშია მოთავსებული.  
ასეთევე შირობებშია გომარეთის სკოლის შენობაც, ნავთელის სკოლა  
ნომ ნაშვილ სარდაფშია მოთავსებული. მე მგონია გამგეობას შეეძ-  
ცოდაოლენი უხარი რომ გამოეჩინა, გაემჭობესებია ამ სკოლების სა-  
მე, მაგრამ სამჭუხაროდ ეს არ მოხდარა.

სტიჰენდიებს უნიშნავენ იმათ, ვინც რაიმეს დასჭერს. ვინც იღ  
სტიჰენდიას, ის არ ჩნდება საზოგადოდ სარბიელზე. . .  
სამხონ დალიანი. უკვე საზოგადოების უკრება



7

საზამსონდღალიანი. ჩვენი საზოგადოების მოქმედების უფერულობა იმით ვი არ აიხსნება, რომ საჩქერო ვალასახალი არ არის შემცირებული, არამედ იმ ისტორიული მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფება ჩვენი ერი მიეცით მას ფართო თავისუფლება და მამის ფართო აღვილი ექნება იმ აქტივობას, რომელიც საჭიროა ხალხისთვის თავიავთ ეროვნულ-კულტურულ საქმეში მონაწილეობის მისაღებალ. ღლეჯანღელ შირობებში ვი, ვი სავ სიყვარული აქვს საზოგადო საქმის, მისთვის კარები ყოველთვის ღიაა, მობრძანღეს და იმუშავოს.

ირაკლი ამირაჯიბი. ყოველ სახელმწიფოს თავისი კანონები აქვს და ამ კანონების ფარგლებში მოქმედობს. წ. ვ. საზოგადოებასავ თავი სი წესღება აქვს და ამ წესღების მიხედვით მოქმედობს. სარევიზიო კომისიის მოხსენებავ ამ წესღების თანახმაღაა შეღკეიღიღი. ამ წესღების მალღით სარევიზიო კომისიას უფღება არა აქვს სავანგებო კრების მოწვევისა, თუნღა ამის საჭიროებავ იყოს, ყვეღა ის ბრალღებები, რომელიც გამგეობის შესახებ წარმოიქვეა საფუღვეღს შოკღებუღია. გაშგეობა მოქმედებღა სამართღიანღლ, ისე, როგორც მას უკარნახებღა წესღება.

ვ. მალღაშვიღი. სკოღა რომ ხალღს ემსახუროს და მეღი ნაყოფი მოიღწანოს, საჭიროა ღარსღღეს სკოღებთან სამეურნეო ვახყოფიღებები.

თავმჯღმარე: სავითბი ვამორკვეუღია. კამათს ვსშობ. თქვენი აზრი ოქმშია შეღწანიღი, ოქმი წავგეკითხებათ შემღღე კრებაზე, რომელსავ ვნიშნავ ხვალ, სალამოს 7 საათზე, ვინც მოიხურვებს ნათქვამის შესწორებას, შეუღღია ღაქსწროს და წარმოაღგინოს.

ექიმი კიკაღიშვიღია. ბ-ნო თავმჯღმარევ! გთხოვთ კრება ღანიღნოთ კვირას, რაღღან მუშა ხალღს საქმე ღღეს მოცაღება არა აქვს ღა მხოლოდ უქმე ღღეს შეუღღიან კრებაზე მოსღვა.

კრების უმრავღესობა ემბრობა კიკაღიშვიღის აზრს. ამნაირღლ შემღღევი კრება ღანიღმნა კვირას, 16 ნოემბერს, ახალი კღების ღარბაზში, ღიღის II საათზე. კრება ღაიხურა 4 საათსა ღა 20 წუთზე.

ქვემოთ ითვღღელ ვარ: *გ. ყაზარღი*

ქვემოთ ვიყოღი: *ვანღა მუღღი*

17  
8

II

ო ქ მ ი

ქ. შ. წ. ვ. ვ. საზოგადოების წევრობა საზოგადო კრებისა  
I6 ნოემბერს 1914 წ.

კრება ვახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ნ. ყაზბეგმა დი-  
ლის II საათზე და 20 წუთზე. კრებას დაესწრო 121 ნამდვილი წევრი.  
თავმჯდომარის წინადადებით მდივანმა წაიკითხა 9 ნოემბრის საზო-  
გადო კრების ოქმი. ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ გამოუც-  
ხადა კრებას "ვისაც სურს ოქმში შესწორების შეცანა, ვსთხოვ თვითონ  
დასწეროს თუ რა დამატების ან შესწორების შეცანა უნდა და წარმოად-  
გინოს.


შეწერე გელიძევილის აზრით ოქმი ძლიერ ვრცელადაა დაწერილი, რის  
დაბეჭვდაც, ეჭვი არ უნდა, ზედმეტს ხარკს მოითხოვს გამგეობისაგან  
და ამ ზედმეტი ხარკის თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნება ოქმი  
იწერებოდეს რაც შეიძლება, მოკლედ ორადსორთა სიწყვეტის დედა-აზრის  
აღნიშვნით.

შეწერე მირიანაშვილი ემხრობა გ-ნ გელიძევილის აზრს და დასძენს,  
რომ სავმარისია ოქმში მხოლოდ კრების მიერ გამოცხადებული რეზოლუციე-  
ბი იქმნას აღნიშნული.

კრება ოქმს ამტკიცებს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ საზოგადო ბაასი გამგეობის მოქმედო-  
ბისა და 1913 წლის ანგარიშის შესახებ წინანდელ კრებაზე გათავდა და  
დღევანდელი კრება უნდა შეუდგეს ანგარიშის მუხლობრივ განხილვას.  
პირველი მუხლი ეხება განყოფილებებს. ვთხოვთ ამ საკითხის შესახებ  
გამოსთქვათ თქვენი აზრი. ეს მუხლი ვამათს არ იწვევს და, ამნაირად,  
ანგარიშს განყოფილებათა შესახებ კრება ეროხმად ამტკიცებს. შემდეგი  
მუხლი სკოლების შესახებ ხანგრძლივ ვამათს იწვევს.

პ. ჭაფარიძის აზრით დღევანდელი საზოგადოების სკოლები უნუგეშო  
მდგომარეობას განიცდიან: მოჭაფეთხ რიცხვი კი არ მაშულომს, საგრძ-  
ნობლად კლებულობს. მასწავლებელნი სავმარისად მომზადებულნი არ არი-  
ან, რათა პირნათლად და ჭეროვანად შეასრულონ მოვალეობა ნამდვილი  
სახალხო მასწავლებლობისა ამ სიწყვეტის ფართო მნიშვნელობით. მარტო  
ანა-ბანას სწავლება სავმარისი არაა. სკოლა და ცხოვრება მტკიცედ  
უნდა იყვნენ შეკავშირებულნი. სკოლა უნდა უზახუბლეს კლუბის ცხოვ-



რების ნამდვილ მოთხოვნილებებს, მასწავლებელი უნდა იყოს ყოველ გვარ-  
რი კულტურული საქმის ხელმძღვანელ-მეთაური, გლეხის დამრიგებელი და  
გზის მძღვენებელი. ჩვენი სკოლები ისე უნდა მოეწყოს, რომ იქ კურს  
დამთავრებულთ ადვილად შეეძლოს საშუალო სკოლებში გადასვლა. ორატორი  
ეზბრობა ბ-ნი კიკვაძის მიერ წინანდელი კრებაზე გამოთქმულ აზრს,  
რომ უმჯობესია სკოლები გვეკონდეს ცოცხა და კარგად მოწყობილი, ვიდრე  
ბევრი და ცუდი. დასასრულ ბ-ნი ჯაფარიძე იძლევა შემდეგ კონკრეტულ  
წინადადებას: I. ჩვენი სკოლების მასწავლებელთ სპეციალურის გარდა  
საზოგადო განათლებაც უნდა ჰქონდეთ; 2. სასკოლო სექციამ გამგეობას-  
თან ერთად უნდა შეიმუშავოს დიპი ჩვენთვის საჭირო სკოლებისა; 3. ჩვე  
ნი სკოლა აუცილებლად იყოს დავაპირებული მთავრობის სასწავლებლებ-  
თან იმ მხრით, რომ ჩვენს სკოლაში კურს დამთავრებულთ უნდა შეეძლოს  
ხსენებულ სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება!"

დ. ხართიშვილი ეთანხმება ჯაფარიძეს იმაში, რომ სკოლა მართლა ცხო-  
ვრებასთან უნდა იყოს დავაპირებული და უპასუხებლეს ცხოვრების ნამ-  
დვილ მოთხოვნილებებს, მაგრამ იგი შეუძლებლად სთვლის წ. კ. გ. საშ.  
სკოლის მთავრობის სასწავლებელში გადამსვლელ საფეხურად აღიარებას.  
საზოგადოების სკოლების სასურველ ნიადაგზე დასაყენებლად ორატორს შე-  
მოაქვს შემდეგი წინადადება: I. ჩვენს სკოლებში საგნების რუსულ-ქარ-  
თულად სწავლების ასაცილებლად, საჭიროა საზოგადოებამ გახსნას ისე-  
თი სკოლა, სადაც დღევანდელი ჩვენი სკოლებიდან მოსწავლენი პირდაპირ  
გადადიოდნენ სწავლის გასაგრძელებლად, ხოლო ამისთვის ვამგეობამ უნდა  
იქონიოს იმდენი პირველ-დაწყებითი სკოლები, რამდენის შენახვის საშ-  
ვალეც საზოგადოებას ექნება; 2. საზოგადოებამ იქონიოს სტაფისტი-  
კური ცნობები იმის შესახებ, რამდენმა მოსწავლემ დაასრულა ჩვენი  
სკოლები, სად წავიდნენ და ირიცხებიან თუ არა ჩვენი საზოგადოების  
წევრებად. 3. მასწავლებელთა მდგომარეობის რამდენადმე გასაუმჯობე-  
სებლად მათ ჯამაგირად შემოღებულ იქმნას 40 მანეთი და ყოველ ხუთს  
წელიწადს ემატებოდეთ თითო თუმანი, ვიდრე 70 მანეთამდე აღვიდოდეს".

დ. ბოცვაძე /ვამგეობის წევრი/ განმარტავს, რომ საზოგადოების სკ-  
ლებში მარტო ანა-ბანას ვი არ ასწავლიან, არამედ იძლევიან საკმაო  
დნას, სანიმუშო პროგრამით განვილი მასალა ოთხის წლის განმავლობა-  
ში იმდენად ათვისდნობიერებს ბავშვს, რომ იგი კურსის გათავების შე-  
დეგ თავისთავად ეწაფება თვით-განვითარებას; საზოგადოების სკოლები  
შეფარდება მთავრობის სასწავლებლებთან ისე, რომ ამ სკოლებიდან მო-  
ფენი პირდაპირ გადადიოდნენ საშუალო სასწავლებელში ორატორს შეუწყნ-

რებლად მიაჩნია, ორგანიული კავშირის დამყარება სკოლის საფეხურით  
შორის დღევანდელ შირობებში ოცნებად, ჩვენი სკოლების მიზანია ქარ-  
თული წერა-კითხვის გავრცელება და ღელა ენაზე განვითარების მიცემა.  
ხალხი დიდის თანავარძნობით უსქერის ჩვენს სკოლებს, მოწაფეთა რიცხვი  
ვი არ ვლებულობს, მაჭულობს....

იღია რუხაძეს იმის დასამტკიცებლად თუ რამდენად უყურადღებოთაა  
სკოლები მიწოვებულნი, მაგალითისთვის მოჰყავს საგურამოს სკოლა, სადაც  
თვითონ მას უმსახურნია მასწავლებლად 1909 წლიდან 1911 წლამდე. ამ  
სკოლაში მემამულისა და სკოლის ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდნენ -  
და სკოლა ყოველთვის დაჩაგრული გამოდიოდა, მამულის მოიჭარადრენი  
ავიწროებდნენ სკოლას; მასწავლებელს ზამთარში შეშა არ ჰქონდა, არც  
სახსწავლო ნივთებს ღებულობდა თავის ღროზე. გარდა ამისა ბავშვებს  
მრიელ შორიდან უხდებოდათ სიარული სკოლაში. სკოლის ასეთი მდგომარეო-  
ბის შესახებ მას არა ერთხელ უცნობობია გამგეობისათვის *ჩვესივს*.


შ. მესხიშვილის შევიძინა შემოაქვს, ჰქონდა თუ არა აღგილი იმ ფაქ-  
ტებს, რომელიც აღნიშნა თავის სიწყევლაში 3-ნ რუხაძემ.

ლ. ბოცვაძე უძახუხებს, რომ ყველა ის დაბრკოლებანი, რომელნიც  
აქამდე მართლა წინ ელობებოდა სკოლას, გამგეობას გათვალისწინებული  
ჰქონდა და კიდევაც მიიღო ზომები: ამაჟამად სკოლა უკვე გაღაცანულია  
სოფელში და ეჭვი არუნდა. ამიერიდან სკოლის საქმე წარმატების გზაზე  
დადგება.

სილ. გაბუნია აზრით გამგეობისადმი მიმართული ბრალდებანი უსა-  
ფუბლოა, ჩვენ სკოლებში საჭიროა საგნების სრული ქართულად სწავლება  
რადგან ამას მოითხოვს სკოლის შემდეგი საფეხურის პროგრამა და თვით  
მშობლების ინტერესი.

შ. ქარუმიძეს შეუძლებლად მიაჩნია სკოლების არსებულ მდგომარეობა  
ში დაწოვება. მისი აზრით საჭიროა ჯერ არსებული სკოლების გაუმჯობე-  
სობაზე ზრუნვა და შემდეგ ახალი სკოლების გახსნა.

თ. კიკვაძეს არსებულ სკოლების გასაუმჯობესებლად და მომავალი  
სკოლების სასურველ ღობეზე დასაყენებლად შემოაქვს შემდეგი წინადადე-  
გა: 1. მასწავლებლის მოწვევის დროს გამგეობა განსაკუთრებულ ყურად-  
ღებას უნდა აქცევდეს, გარდა მათ სპეციალურ მომზადებისა, მათ საზო-  
გალო განვითარებასა და ხალხში სამოღვაწეოდ გამოსადეგრობას. 2. მა-  
თი ჯამაგირი საზოგადოების სამუალებათა მიხედვით ავიდეს მაქსიმალურ  
ღონემდე. 3. ჯამაგირის სამხლიურ მომადგების დროს ჩაეთვალოს მათ სხვ  
აგან ნამსახური დროც. 4. გამგეობა ეცადოს, რომ სამკითხველო-ბიბლი-



ოთქევი დაარსოს და მით შეძლება მისცეს ჩვენს სკოლებში სწავლა დამთავრებულ არ გასწყვიტონ კავშირი სკოლასთან და შემდეგაც განვითარდნენ, 5. გამგეობა უცადოს, მასწავლებლებს საშუალება მისცეს, რომ მათ ხშირად გამართონ ხოლმე სკოლებში სახალხო კითხვები და საუბრები რათა მით ხალხი მჭიდროდ დაუკავშირდეს სკოლას და შეიგნოს მისი მნიშვნელობა, 6. გამგეობის უმთავრესი ყურადღება მიექცეს ამ სკოლების გაუმჯობესებას და, როდესაც არსებული სკოლები სასურველ დონეზე დადგება, მხოლოდ შემდეგ გახსნას ახალი სკოლები. 7. სასკოლო სექციამ შეიმუშავოს გარკვეული წესი ჩვენი მასწავლებლებისა და 8. სასკოლო სექციას მიეცეს უფლება და საშუალება, რაც შეიძლება ხშირად მოაწყოს მასწავლებელთათვის შეღავათიანი კურსები და ვრებები.


6. რამიშვილს შეუსაბამოდ და შეუძლებლად მიაჩნია წ. ვ. ვ. საზოგადოების სკოლებს მოსამზადებელი ხასიათი მიეცეს; მისი აზრით ჩვენს სკოლებში ყველა საკანი ქართულად უნდა იმსწავლებოდეს. გარდა ამისა მასწავლებელი უნდა იყოს კარვად მომზადებული, რომ შეეძლოს სახალხო კითხვების, საუბრების გამართვა, სავეირაო სკოლის დაარსება და ხელმძღვანელობა-მეთაურობის გაწევა.

ამავე აზრის არიან სამსონ დადიანი და ოლა აღლაძისა.

დ. ღუმბაძეს სკოლების მეთვალყურის მოწვევის შემდეგ, სრული იმედით აქვს, რომ სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმე ჭეროვან ნიადაგზე დადგება, მისივე აზრით, რადგან საზოგადოებას ამ წელს ნივთიერი საშუალება უნაყოფოა, აუცილებლად საჭიროა გაუმჯობესდეს სოფლის სკოლათა მასწავლებლების ქონებრივი მდგომარეობა თვეში 50 მან. ჯამაგირის და ნიშნით რაც ეჭვი არ უნდა ხელს შეუწყობს გამგეობას სასურველ მასწავლებლების შფაფის ვოწვევის საქმეში.

დ. ჯავახიშვილის აზრით აუცილებლად საჭიროა რამდენადაც საშუალება ნებას მოვცემს, ახალი სკოლების დაარსება იქ, სადაც ამას ადგილობრივი პირობები და საქმე მოითხოვს. მისივე აზრით ერთ-ერთს სოფლის სკოლაში შედანილი უნდა იქნას რაიმე პრაქტიკული კურსი, სადაც სხვა სკოლებში კურს დამთავრებულნი სწავლას გააგრძელებენ.

დ. ცაგარელი საჭიროდ სთვლის ჩვენს სკოლებში, როცა ქართულ ენას განაღდგურება არ მოელოს, რუსული ენის სწავლებასაც მიექცეს ჭეროვანი ყურადღება, რადგან ამას მოითხოვენ გლეხები უბრალო პრაქტიკული მოსაზრებით, საზოგადოდ სკოლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 6-ე ცაგარელს შემოაქვს შემდეგი წინადადება: მასწავლებელთა კონებრივად გასავეირაოებლად საუთარებლად და პრაქტიკულად განსაწავებლად და გამო-




საცდელად საჭიროა ქ. თბილისში დაარსდეს სანიმუშო შირველდაწყე-  
 მითი უიპი სასწავლებლისა. ამ სასწავლებელში უნდა ვიყოლით მუ-  
 ლამ სამი ოთხი მასწავლებელი გამოსაცდელად და მათთან ვასაწყობ-  
 ლად ავტორიტეტულ შეღავათების ზედამხედველობით და ხელმძღვანელო-  
 ბით მოვევიმზადლებიან ისეთი მასწავლებლები აქ, რომელნიც საუკეთე-  
 სო აგენტები და პიონერები იქნებიან სოფლად ნამდვილ სწავლის მო-  
 საფუნად. სახსარი ამისათვის იქნება ჯერ თვითონ სასწავლებლის შ-  
 შემოსავალი, შემდეგ ქალაქის დახმარება, ეს ჩვენი სასწავლებელი  
 ქალაქის რომელიმე ქართულ სკოლის მაგიერობას ვასწევს და თვით ქე-  
 რა-ვიზივის საშოგალოების დახმარება. ამ ზედმეტ ხარჯისთვის ვა-  
 სახელებ ჩვენი მალაზიის გაფართოვებას და შიგ ფართო სათანადო ვა-  
 ჭრობის გაჩაღებას; ცხადია მალაზია ვალდაწინდელ უნდა იქნას შესა-  
 ფერ აღვიღებ.

დ. ვაჩნაძე მომხრეა იმ ორატორების, რომლებიც მოითხოვენ არსე-  
 ბული სკოლების სამაგალითოდ მოწყობას, მაგრამ ამასთან საჭიროდ  
 აღიარებს ყურადღება მიექცეს იმ მივარდნილ საქართველოს კუთხეებს  
 საც, სადაც ელემენტალური ქართული ქერა-ვიზივის ცოდნა აუსცილებელ  
 მოთხოვნილობას შეადგენს, ხოლო საშოგალო საქმეს რომ ნამდვილი საქ-  
 მიანობის სახე მიეცეს და მოქმედების უნარი ჩაეხაზოს, საჭიროა გა-  
 მგეობის შედგენილობის რიცხვი შემცირდეს, გამგეობის ქვერთა რიც-  
 ხვი განისაზღვროს 4 კაცით და ამ შირებს დაენიშნოს ჯამაგირი.

შ. ქარუმიძე ემხრობა დ. ღუმბაძის და თ. ვიკვაძის კონკრეტულ  
 წინადადებებს და თავის მხრივ უმაჯებს შემდეგს: I. დაარსდეს საშო-  
 გალოებასთან ფონდი სახელმძღვანელოთა გამოსაცემად, 2. მიღებულ იქ-  
 ნას ღონისძიებანი, რათა გამოიცეს ჩვენი ცხოვრების სურათები, რო-  
 გორც აწმყო, ისე ისტორიულ შინაარსისა და დაურიგდეს ჩვენს მასწავ-  
 ლებებს სახელმძღვანელოდ, 3. იმართებოდეს ვრეებში მასწავლებლე-  
 ბისა პროგრამის ვალასაშინჯათ და შესამუშავებლად და 4. იმართებო-  
 დეს მცოდნე შირთაგან კურსები საჭირო ცოდნის მისაღებად.

გრ. ლალიძე დღევანდელ შირობებში შეუძლებლად სცნობს იდეალური  
 ეროვნული უიპის სკოლის შექმნას. არსებული სკოლების უნუგეშო მდგო-  
 მარეობის მიზეზი ჩვენი დაკნინებული და დაჩიავებული ცხოვრებაა.  
 გამგეობის რეორგანიზაცია მდგომარეობას ოდნავადაც ვერ შესცვლის;  
 გამგეობის ქვერთავის ჯამაგირების დანიშვნა, უფრო შეამცირებს სა-  
 შოგალოების ~~საშოგალოების~~ ბიუჯეტს და მაშინ ახალი სკოლების  
 გახსნაზე ფიქრის მუცე იქნება, ვარდა ამისა ასეთი რეორგანიზაცია



ავტორიტეტს დაუკარგავს ამ ერთად ერთს ვულტურულ დაწესებულებას საზოგადოების თვალში და ეჭვი არ უნდა შემოწირულებათა რაოდენობაც იკლებს. ჭერ-ჭერობით კი მხოლოდ შრაქციკული შედავოგიური ხასიათის კურსების მოწყობით შეიძლება ცოცხალნად მასწავლებელთა მობზადების საქმე გავაუმჯობესოდ.

გრ. ბურგულაქემ განმარტა, რომ მოწაფეთა რიცხვი წ. ვ. ს. სკოლებში კი არ ვლებულობს, შირიქით საგრძნობლად მადულობს, მადალით. აფენის სკოლაში 47 -დან 78 ლე ავილა. სწავლა-აღზრდის საქმეც სამინისტრო სკოლებთან შედარებით ვაცილებით უკედ არის დაყენებული, მადალითად, ვავთისხევის სამინისტრო სკოლა და ჩვენი წინარების სკოლა რომ შედაროთ, ღილს განსხვავებას ნახავთ, ხელთუბნის სკოლა დაიხურა მოძრაობის ღროს. შემდეგ ღირექციამ წინადალება მისცა სოფელს დაეთმო მისთვის შენობა იმ შირობით, რომ ყველაფერ ხარჯს ღირექცია იკისრებდა. აქ ვამგეობის დაუღევრობა არაფერ შუაშია. ის, რაც მ-მა რუხაქემ ბრძანა საგურამოს სკოლაზე, ეხება არა საანგარიშო 1913 წ. , არამედ 1910 და 1911 სამოსწავლო წელს. 1911 წლიდან ხარტ-აღრიცხვაში შეყანილია ვანსაკუთრებული თანხა სკოლებისთვის სასწავლო ნივთების შესაქენად და მასწავლებელს თავის ღროზე ეგზავნება ყველა საჭირო ნივთები შირველ მოთხოვნილებისათანავე.

ვაღ. ვოგიბერიძის აზრით საჭიროა: 1. მოეწყოს მასწავლებელთა კორპორაცია, 2. ვაუმჯობესდეს მასწავლებელთა ნივთიერი მღგომარეობა, 3. სკოლების ბინები შექმლების დაგვარად იყოს ვარგი და სკოლასთან მეურნეობისათვის იყოს მიწა, არა ნაკლებ ნახევარი ღელეფინასი 4. სკოლებში იმართებოდეს სახალხო ვითხეები, საღამოს კურსები სურათებით და სხვა. 5. უკეთუ ვამგეობა დაინახავს საჭიროდ ახალ სკოლის ვახსნას რომელიმე ვუთხეში, მოწვეულ იქმნას ხოლმე ასეთ საკორხის ვანსახილველად არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

თავმჯღომარე აცხადებს, რომ საკითხი სკოლების შესახებ ვამორკვეულია და იგი ვენჭს უყრის სათითაოდ წარმოდგენილ რეზოლიუციას.

გ. ღახხიშვილი შეუძლებლად სთვლის ვენჭი ეყაროს რეზოლიუციებს, ვიღრე წინადალებათა ავტორნი არ შეთანხმდებიან და ერთს ან ორს რეზოლიუციის საერთო შროვეცს არ შეიმუშავენ.

გ. ვორღეშინის აზრით ვამგეობასაც უნდა წარმოდგინა თავისი წინადალება. საჭიროა რეზოლიუციის შროვექცი შეიმუშავოს ვამგეობის და სარევიზიო კომისიის შეერთებულმა კრებამ.

გ. ღ. ჟურული. ვენჭის ყრა შეუძლებელია, სანამ კრება არ მოი

იენს გამგეობის აზრს წარმოდგენილ რეზოლიუციის შესახებ. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეზოლიუციის დეკლარაციის შემუშავების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ საზოგადოების ფინანსური მხარეც.

კრება ლეგულობს უკანასკნელ ორადგიროს წინადადებას და აღგენს: რეზოლიუციის პროექტი შემუშავდეს გამგეობისა და წინადადებათა ავტორების შეერთებულ კრებაზე. კრება დაიხურა მ საათსა და 50 წუთზე კრების გაგრძელება დაინიშნა კვირას, 28 ნოემბერს, დილის II საათზე, ახალი კლუბის დარბაზში.

კრების თავმჯდომარე: *კ. ჯანაშია*

მდივანი: *ვაჟო ბუჩქაძე*



12

111

23/XI Not. signed 4/21.



ქ. შ. წ. ვ. გ. საზოგადოების წევრობა საზოგადო კრებისა,  
23 ნოემბერს 1914 წ.

კრება გახსნა გამგეობის წევრმა დ. ვ. კარიჭაშვილმა დილის II საათსა და 25 წუთზე. კრებას დაესწრო II ნამდვილი წევრი. თავმჯდომარის წინადადებით მღივანმა წაიკითხა I6 ნომბრის საზოგადო კრების ოქმი, რის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა კრებას, სურს თუ არა ვისმეს ოქმში შეხწორების შეწყანა. კრებამ სიჩუმით უპასუხა და, ამნაირად, წინანდელი კრების ოქმი შეუსწორებლად დამტკიცებულ იქმნა.

თავმჯდომარემ განუმარტა კრებას, რომ წინანდელ კრების დავალება სკოლების გაუმჯობესებად <sup>რევიზიის</sup> წარმოდგენილი რეზოლიუციების განხილვისა და საერთო ტექსტის შემუშავებისა ~~შესახებ~~ გამგეობამ სისრულეში მოიყვანა და 18 ნოემბერს რეზოლიუციების ავტორთა თანადასწრებით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

1. გადიდებულ იქმნას მასწავლებელთა ჯამაგირები, რათა საშუალება მიეცეს გამგეობას, რაც შეიძლება საუკეთესო, კარგად მომზადებული და განვითარებული მასწავლებლები მოიწვიოს სკოლებში.
2. მიეცეს გამგეობას უფლება სხვა უწყების სკოლებიდან გამოყვანილ მასწავლებლებს ჯამაგირის დანიშვნის დროს სამსახურში ჩაუთვალოს სხვა უწყების სკოლაში ნამსახური დროც.
3. დაჩქარებულ იქმნას ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობის სექციის დადგენილება არსებულ სკოლებთან ბიბლიოთეკა-სამკითხველო მოწყობის შესახებ.
4. უცადოს გამგეობა საშუალება მისცეს მასწავლებლებს, რომ მათ გამართონ ხოლმე სახალხო კითხვები და საუბრები, რათა მით ხალხი მჭიდროდ დაუკავშირონ სკოლას და შეაგნებინონ სკოლის მნიშვნელობა.
5. ახალი სკოლები გაიხსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს აუსცილებელი საჭიროება ადგილობრივი პირობების მიხედვით.



6. დაევალოს სასკოლო სექციას შეიმუშავოს ვარკვეული ტიპი ჩვენის/ სასწავლებლისა.

7. დაევალოს გამგეობას შეძლების და-გვარად გამართოს ხელმე მასწავლებელთათვის პედაგოგიური და საზოგადო განათლების ხასიათის კურსები.


8. სასურველია წ. ვ. გ. საზოგადოებამ გახსნას ისეთი უმაღლესი ტიპის პირველ-დაწყებითი სკოლები, სადაც შესაძლებელი იქნება არსებულ პირველ-დაწყებით სკოლებში კურს-დამთავრებულთა პირდაპირი გადასვლა.

9. საზოგადოებამ იქონიოს სფაფისტიკური ცნობები იმის შესახებ რამდენმა შევირდმა დაასრულა სწავლა ჩვენ სკოლებში, სადა წავიდენ ისინი კურსის დამთავრების შემდეგ და ითვლებიან თუ არა ისინი საზოგადოების წევრებად.

რეზოლუციის წაკითხვის შემდეგ კრება შეუდგა მისდ მუხლობრივ-განხილვას. პირველი მუხლის შესახებ გრ. ბურჭულაძე საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ სამართლიანი იქმნება და საქმისათვის საუმჯობესო, რომ საკითხი უფრო კონკრეტულად იქნეს დასმული და რეზოლუციის მოხსენებული მუხლი შეიცვალოს მასწავლებელთათვის პირითადს ჭამაგირის რაოდენობის განსაზღვრით. ამასთან საჭიროდ სთვლის ისიც დასძინოს, რადგან სამინისტრო უწყების სკოლებში მსახურთ მეფი ჭამაგირი ემღევათ, სასურველია კონკურენტის გასაწევად უფრო მეტი ჭამაგირი ექნეს დანიშნული ჩვენი სკოლების მასწავლებლებს. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო კარგი და გამოსდილი მასწავლებლები მოვიზილოთ.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ ჭამაგირის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ საზოგადო კრებას მსჯელობა ექნება <sup>სამსახურის</sup> განხილვის დროს. კრება <sup>კანსებდა</sup> თავმჯდომარეს ~~წინადადებას~~ და რეზოლუციის პირველ მუხლს ამტკიცებს.

რეზოლუციის მეორე მუხლის შესახებ თ. კიკვაძე აცხადებს, რომ ყველა იმ მასწავლებელს, რომელსაც გამგეობა მოიწვევს თავის სკოლაში ჩაეთვალოს სხვა უწყების სკოლაში ნამსახური დრო შეუძლებელია ერთს ჩაეთვალოს და მეორეს არ ჩაეთვალოს, განსხვავება არ უნდა არსებობდეს. მასწავლებლები ერთნაირ პირობებში უნდა იმყოფებოდნენ და ამისათვის, ორატორის აზრით, უმჯობესი იქნება ხსენებული მუხლი შეიცვალოს იმ სახით, რომ ვალდებულ იქმნეს გამგეობა ყველა სხვა უწყების სკოლებიდან მოწვეულ მასწავლებლებს ჩაეთვალოს იქ ნამსახური დრო.



პრ. ჯაფარიძეს იმავე აზრისაა და შეუძლებლად სთვლის უფლებათა შეზღუდვას და მოწვეულ მასწავლებელთა კაფეგორიებად დაყოფას.

დ. ხართიშვილი წინააღმდეგია მთავრობის სკოლებიდან მასწავლებლების მოწვევისა საზოგადოების სკოლებში.

რ. გაბაშვილი თავის ვაკვირებებს აცხადებს გამგეობის მოქმედების შესახებ და აღნიშნავს, რომ გამგეობა "ინვალიდების" მოწვევას სცდილობს თავიანთ მასწავლებლებში. მისი აზრით რეზოლუციის მეორე მუხლი სრულიად ამოშლილი უნდა იქნეს. წევრს სკოლებში უნდა მოვიწვიოთ ჯანსაღი, მხნე და ახალგაზრდა და არა სამინისტრო სკოლებში ნამსახური, ჯან-გამოუყუდი და ქანც-გაწყვეტილი მასწავლებლები. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ნამსახური დრო წაეთვალოს ასეთს "ინვალიდებს".


ევ. ასათიანისა წინააღმდეგი არ არის სხვა უწყების სკოლებიდან მასწავლებლების მოწვევისა, მაგრამ საჭიროდ სთვლის განსაზღვრულ იქმნას მასწავლებელთა ნამსახური დრო /სხვა უწყებაში/ ათი ან ცხრა წლით. მისი აზრით 25 წლის ნამსახური მასწავლებლის მოწვევა საქმისათვის მავნებელი იქნება და არა სასარგებლო.

დ. ჯავახიშვილის აზრით უპირატესობის შესახებ ლაპარაკი არ უნდა იყოს. მოწვეული მასწავლებლები ერთ-გვარ პირობებში უნდა იყვნენ ჩაყენებულნი და ამის უფლება უნდა მიეცეს გამგეობას: ვისაც საქმისთვის სასარგებლოდ სცნობს, მოიწვიოს.

თავმჯდომარე რეზიუმეს აკეთებს: I. საჭიროა თუ არა სხვა უწყების სკოლიდან მასწავლებლის მოწვევა, 2. შეიძლება თუ არა სხვა უწყებიდან მასწავლებლის მოწვევა და თან განმარტავს, თუ საქმისთვის სასარგებლო და საჭირო იქნება, რატომ არ უნდა მივსცეთ გამგეობას უფლება ისარგებლოს შემთხვევით და, როცა თავს ანებებს ენერგიით სავსე და გამოცდილი მასწავლებელი, მოიწვიოს ასეთი მასწავლებელი თავის სკოლაში.

რ. გაბაშვილის აზრით შეუძლებელია უპირატესობა მიეცეს სხვა უწყების სკოლაში ნამსახურთ.

ილ. რუხაძის აზრით, არამც თუ საჭიროა, აუცილებელიც არის სამინისტრო სკოლებიდან კარგი მასწავლებლების მოწვევა; სამინისტრო სკოლაშიაც მოიპოვებიან რიგიანი და საქმის მოყვარული მასწავლებლები. იგი პროფესს აცხადებს ზოგიერთი არაფორების ნალაპარაკების წინააღმდეგ, ვითომც ჩვენ "ინვალიდები" გვყავდეს. ~~რ. გაბაშვილი~~ ჩვენ ინვალიდები ვი არა, მაღიან კარგი მასწავლებლები გვყავს, საჭიროა მხოლოდ მათი რიგიან პირობებში ჩაყენება.



შ. ქარუმიძის აზრით, რუსები, <sup>402</sup> რუსეთში, აქ სწორედ "Ломка при-  
сходит". ჩვენ უნდა შევქნათ ვარგი პირობები და ვარგის მასწავლებ-  
ლებს მივიზიდავთ. ეს ვარგი მასწავლებლები და ვარგი პირობები  
თვითონ შეიმუშავენ ვარგის უკვე სასწავლებლისას.

არ. ჯაჭანაშვილის აზრით, წ. ვ. გ. საზოგადოებას დამსჯილობის  
წესების უარყოფითი მოქმედება და ~~ამ~~ ემსახურება ერთ მიზანს. ამ  
მიზნის გამყარებელი უნდა იყოს ცხოვრებაში საზოგადო კრების აღ-  
მასრულებელი ორგანო - გამგეობა, რომელსაც ირჩევს საზოგადო კრე-  
ბა; თუ კრება გამგეობას ენდობა, <sup>საქმე აქედან უფრო მეტი</sup> როცა იგი საჭიროდ და სახარებ-  
